თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6435244

ნომერი: AR1959895

თარიღი : 07.04.2023

გაცემის თარიღი : 27.04.2023

გაცნობის თარიღი : 27.04.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ოთარ ჭილაძე , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამთა ხაჟომია პ/ნ 01019077125
- თბილისი ჟონეთის ქ. N 44

ორგანიზაცია:

- შპს სტუდია 9 კოდი: 404429515

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 7 აპრილს №AR1959895 განცხადებით მომართა თამთა ხაჟომიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 19 აპრილის №6422209 ბრძანებითა და 2023 წლის 21 აპრილის №6426334, 2023 წლის 25 აპრილის №6430872 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ, ისევ არ არის ხარვეზები გამოსწორებული, კერძოდ წარმოდგენილ გეგმებსა და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული საცხოვრებელი და სასტუმროს ნომრების ფართობების ჯამური მაჩვენებლები ისევ შეუსაბამოა ერთმანეთთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და ამასთან, სამსახურის გადაწყვეტილებებით მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ გამოსწორდა, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 7 აპრილის №AR1959895 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.